



**შპს ვარჯის -ს ს/კ 400149914 ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო
საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე**

2024 წელი

1.ზოგადი ინფორმაცია შპს ვარჯის ს/კ 400149914 სსაქმიანობის შესახებ.

შპს ვარჯი, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2015 წლის 22 ივლისს. იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ქვიშხეთის ქუჩა, N 8. 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი 100% იანი წილის მფლობელია თორნიკე ჯამაგიძე (პ/ნ 01023011827), და დირექტორია არჩილ ჯამაგიძე (პ/ნ 01001018597).

შპს ვარჯი-ს, ფაქტიური მისამართია: დუშთის რ-ნი დაბა ჟინვალის სამშენებლო პოლიგონი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მთლიანი ხის პანელის და ფინგერ ჯოინტის წარმოება სხვადასხვა ჯიშის ხის მასალისგან. ასევე ვახორციელებთ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით საერთაშორისო გადაზიდვას.

2. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტების მითითება.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის თვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	1344522	719848	557940
საინვესტიციო ქონება	4	-		
ბიოლოგიური აქტივი	5	-		
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-		
		1 344 522	719 848	557 940
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტი	6	134987	125305	33174
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	346453	971483	618397
მარაგები	8	1330496	895505	778555
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		-	90000	
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	63695	41671	19171
		1 875 632	2123964	1 449 297
მთლიანი აქტივები		3 220 154	2 843 812	2 007 237
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1073945	887840	75176
გადაფასების რეზერვი				-
		1 073 945	887 840	75 176
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	1337252	1559107	933755
ანარიცხები	11	-		-
		1 337 252	1 559 107	933 755
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	214881	10 220	240913
გადავადებული შემოსავალი	12	-	-	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	512247	302679	661798
საგადასახადო ვალდებულებები	14	54538	64707	81844
სოციალური ვალდებულება		27290	19259	13751
გადასახდელი პროცენტი				
გადასახდელი დივიდენდი				
მთლიანი ვალდებულებები		2 146 209	1 955 972	1 932 061
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		3 220 154	2 843 812	2 007 237

დირექტორი არჩილ ჯამაგიძე



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები	16	1338872	3217586	934823
თვითღირებულება		(719 947)	(2 009 340)	(540 025)
				-
საერთო მოგება		618925.29	1208246	394798
სხვა შემოსავლები	17	63559	74220.87	2050
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(370 997)	(306 929)	(397 898)
მიწოდების დანახარჯები		(38 580)	(80 725)	(15 753)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	(18 667)	(2 071)	143077
სხვა ხარჯები	19	(2 858)	(1 688)	(20 078)
საოპერაციო მოგება		251383	891054	106198
ფინანსური შემოსავალი	20	121139	35146.25	2330838
ფინანსური ხარჯი	20	(167 476)	(113 536)	(645 493)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(46 337)	(78 390)	1685345
მოგება დაბეგვრამდე		205045	812664	1791542
მოგების გადასახადი		(2 838)		
პერიოდის მოგება		202207	812664	1791542
სხვა სრული შემოსავალი:				
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით				
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		202207	812664	1791542

დირექტორი არჩილ

ჯამაგბე



ფულადი ნაკადის ანგარიშგების უწყისი 2024 წლის დეკემბრის მდგომარეობით

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი	2024	2023
წმინდა საოპერაციო ფული	752478.27	517366
მყიდველებისგან მიღებული ფული	1365831	3501722
მომწოდებელზე გადახდილი ფული	(316 686)	(2 418 841)
გადახდილი ხელფასები	(222 403)	(157 495)
გადახდილი მოგების გადასახადები		
გადახდილი გადასახადი	(179 103)	(351 633)
სხვა ფულადი შემოდინება(დღგ-ს თანხის უკან	30023	63 792
სხვა ნოკლევადიანი მოთხოვნა		(90 000)
დაბრუნებულია სხვა მოკლევადიანი მოთხოვნა	90000	
სხვა ფულადი გადინება	(15 184)	(30 177)
წმინდა საინვესტიციო ფული	(740 906)	(754 632)
გრძელვადიანი აქტივების შესამენად გადახდილი	(740 906)	(754 632)
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვით მიღებული		
მიღებული დივიდენდები და პროცენტები		
წმინდა საფინანსო ფული	(1 890)	329 397
მიღებული სესხები	202280	1412594
დაფინანსება	74570	9775
სესხის დაფარვა	(247 992)	(1 006 794)
გადახდილი პროცენტები	(166 108)	(95 330)
სესხის ჯარიმის კორექტირება		8 586
გადახდილი დივიდენდები	(15 280)	
გაცემული სესხი		
დაბრუნებული სესხი	150000	
გაცვლითი კურსის ეფექტი	641	565
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	9682	92131
ფული წლის დასაწყისში	125305	33174
ფული წლის ბოლოს	134987	125305

დირექტორი არჩილ

ჯამაგიძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ვალუტის ფულად ერთეულში (ლარი), რომელიც წარმოადგენს შპს ვარჯის წარსადგენ ვალუტას და კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმს.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის დროს.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთ გაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა	(წელი)
შენობები და ნაგებობები	40
საწარმოო მანქანა დანადგარები	7-10
ავტო და ოფისის აღჭურვილობა	8
ავტომანქანა	8
მზის სადგური	20

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს შენობა ნაგებობების სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად საჭირო სამშენებლო მასალებს და მანქანა დანადგარების შეკეთებისთვის აუცილებელ სათადარიგო ნაწილებს და სახარჯ მასალას, როგორიცაა საპოხი ზეთი, ძრავის ზეთი, დიზელის საწვავი,

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური

საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანია საერთაშორისო გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურების საქმიანობიდან განთავისუფლებულია ჩათვლის უფლებით ამ გადასახადისგან, ხოლო ადგილობრივი გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურების დროს იბეგრება დღგს გადასახადით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები,

რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში. შენიშვნა 3 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა: 3

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობებ- ნაგებობა	მზის სადგური	მანქანა- დანადგარ ები	კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერი ული ტექნიკა	ელექტრო ძრავები	ავიჯი და ოფისის აღჭურვი ლობა	სატრანსპ ორტო საშუალებ ები	სხვა ამორტიზებ ადი ძირითადი საშუალება	სულ
31 დეკემბერი 2021	105496	257895	0	209038	5928	2469	5149	7215	5419	493113
პერიოდის ცვთა		(9 123)		(27 419)	(790)	(762)	(449)	(879)	(1 246)	(40 669)
გასვლა										-
31 დეკემბერი 2022	105496	248771	0	181619	5138	1707	4700	6336	4173	557939
პერიოდის ცვთა		(9 286)		(34 914)	(1 229)	(756)	(1 095)	(3 606)	(1 724)	(52 610)
შემოსვლა				178323	2610		5701	20375	1250	205 649
კაპიტალური რემონტი				6260						6 260
31 დეკემბერი 2023	105496	239485	0	331288	6518	951	9306	23105	3699	719847
პერიოდის ცვთა		(9 286)	(26 672)	(48 318)	(1 708)	(612)	(2 398)	(5 254)	(1 956)	(96 202)
შემოსვლა			602924	69704			3347	33263	8598	717 837
კაპიტალური რემონტი				3039						3 039
31 დეკემბერი 2024	105496	230199	576252	355714	4811	339	10256	51115	10341	1344522

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშების

გამოცემამდე. შპს ვარჯის მიერ 2019 -2020 წლებში დივიდენდების განაწილება არ გამოცხადებულა.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

შენიშვნა 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	2024	2023	2022
სალარო	0.88	36	0.91
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	134 985	124 955	12 219
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1.35	314	20 954
ჯამი	134 987	125 305	33 174

შენიშვნა 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024	2023	2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებზე ავანსად	115 691	86 906	41121
საბაჟოსტვის გადახდილი ავანსი	80 762	583 088	277201
მოთხოვნა საწარმო პერსონალზე		1 489	75
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		90 000	
	150 000	300 000	300000
ჯამი	346 453	1 061 483	618397

შენიშვნა 8 მარაგები

	2024	2023	2022
საქონელი	13777.45	34313.93	55610.61
ნედლეული და მასალები	794597.05	574178.46	515273.23
ნარჩენი	96770.45	35673.14	36987.12
დაუმთავრებელი წარმოება	18246.06	63005.18	2880.18
მზა პროდუქცია	407105.41	188334.74	167803.88
სულ	1330496.42	895505.45	778555

2024 წელს ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა გაყიდული საქონლიდან 130460.98 ლარი, პროდუქციიდან 589486 ლარი

შენიშვნა 9

მისაღები დივიდენდები და პროცენტები

	2024	2023
მისაღები დივიდენდები		
მისაღები პროცენტები	63695	41671
სულ	63695	41671

შენიშვნა 10 სესხები

გრძელვადიანი სესხი	2024	2023	2022
საბანკო სესხი	1337252	1559107	933755
	1337252	1559107	933755
სესხი პარტნიორებისაგან	214881	10220	240913
	214881	10220	240913
სულ სესხები	1552133	1569327	1174669

შპს ვარჯისა და სს საქართველოს ბანკს შორის 08.09.2023 წ. გაფორმებული იქნა სესხის ხელშეკრულება # 9594198, სესხის ტიპი აწარმოე საქართველოში. სესხის თანხა შეადგენს 682000 ლარს.წლიური საპროცენტო განაკვეთი 10.05%,ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 11%, სესხის დასრულების თარიღია 12.09.2033წ.სესხის ძირი თანხის დავალიანება

31.12.2024წ შეადგენს 643195 ლარს.2024წ სესხის ძირი თანხა დაფარულია 36150.84 ლარი,პროცენტი 67001.05 ლარი,ჯარიმა 97.27 ლარი აწარმოე საქართველოს დაფინანსება შეადგენს 22535.03 ლარს.

ასავე სს საქართველოს ბანკში იყო აღებული სესხი 24.10.2023წ ხელშეკრულების #9744103 სესხის ტიპი აწარმოე საქართველოში. სესხის თანხა შეადგენს 141000 ლარს.წლიური საპროცენტო განაკვეთი 10.05%,ეფექტური საპროცენტო განაკვეთი 11%, სესხის დასრულების თარიღი 15.10.2026 წ.სესხის ძირი თანხის დავალიანება 31.12.3024წ შეადგენს 92558.38 ლარს.2024წ სესხის ძირი თანხა დაფარულია 41521.08 ლარი, პროცენტი 11737.28 ლარი,ჯარიმა 22.62 ლარი აწარმოე საქართველოს დაფინანსება შეადგენს 3979.45 ლარს.

შპს ვარჯისა და სს თიბისი ბანკს შორის 31.12.2021წ გაფორმებული იქნა სესხის ხელშეკრულება # 6249002-11788471, სესხის თანხა შეადგენს 330000\$ -1 022 208 ლარს წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8.7%-ს.სესხის დავალიანება31.12.2024წ მდგომარეობით შეადგენს 214300.48\$=601498.59 ლარს.2024წ სესხის ძირი თანხა დაფარულია 41671.34\$=115769.01 ლარი .ასევე 28.10.2022 წ სს თიბისი ბანკდან იყო გაფორმებული ხელშეკრულება # 6249002-12260620 სესხის თანხამ შეადგინა 50000\$-139200 ლარი წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 8.61%-ს .სესხი დაფარულია 15.07.2024წ

შენიშვნა 13 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024	2023	2022
მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	459 655.94	136 227	251 253
ვალდებულება საბაჟის წინაშე	13.18		
გადასახდელი ხელფასი	19 364.00	13 355	17 816
მიღებული ავანსები	33 214.07	153 097	392 729
ჯამი	512247.19	302 679	661 798

შენიშვნა 14 საგადასახადო ვალდებულებები

	2024	2023	2022
გადასახდელი მოგების გადასახადი - განაწილებული მოგება			
გადასახდელი მოგების გადასახადი - სხვა			
საშემოსავლო გადასახადები	4943.5	3 339	4454
დღგ	34357.21	50 064	67 097
ქონების და მოწის გადასახადი	15237.37	11 304	10292.1
სულ	54538.08	64 707	81 844

შენიშვნა 16 ამონაგები

	2024	2023	2022
საქონლის გაყიდვა	1054104	3071804	
მომსახურების გაწევა		5558.36	32352
პროდუქციის გაყიდვა	248473	140224	902471
მზის სადგურის იჯარა	36295		
სულ	1338872.37	3 217 586	934 823

შენიშვნა 18 სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

	2024	2023	2022
საკუროსო სხვაობით მიღებული მოგება	(18 667)	2071	143077
სულ	(18 667)	2071	143077

შენიშვნა 19 სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში

	2024	2023	2022
საგადასახადო ჯარიმები და საურავი	2858	1 688	1 010
სულ	2858	1688	1 010

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და მისი გამოცემის ნებართვა
გაცემულია დირექტორის არჩილ ჯამაგიძის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერს

დირექტორი არჩილ

ჯამაგიძე

